მარგო თომას ასულ **ჭრელაშვილს** — სიღნაღის რაიონის წნორის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის აგრონომ-ენტომოლოგს.

ქეთო ივანეს ასულ **ჯაფარიძეს** — სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის უფროს აგრონომს.

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

კლარა გრიგოლის ასულ **ჯაყელს** — მცენარეთა მავნებლების და დაავადებების გამოჩენა-გავრცელების სიგნალიზაციისა და პროგნოზირების სამსახურის მახარაძის დამკვირვებელი პუნქტის გამგეს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის:**

მარგარიტა ბაღდის ასულ **ალექსანიანს** — პენსიონერს.

ნინო კონსტანტინეს ასულ **ამირანაშვილს** — წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმათის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს.

ქეთევან იასონის ასულ **დეკანოსიძეს** — ხაშურის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელს.

ქეთევან სოლომონის ასულ **ვალიშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

მაყვალა ივანეს ასულ **ვარამაშვილს** — საქართველოს სანაშენო გაერთიანების სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და რეალიზაციის სამმართველოს უფროს ზოოტექნიკოსს.

გალინა პავლეს ასულ **კალაშნიკოვას** — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკოსს.

ელენე ვასილის ასულ **კანდელაკს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროს ეკონომისტ-ზოოტექნიკოსს.

ნათელა ტარასის ასულ **ლომიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს უფროს ზოოტექნიკოსს.

თამარ ედუარდის ასულ **მერკვილაძეს** — აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების განყოფილების უფროს ზოოტექნიკოს-ეკონომისტს.

ევგენია იაგორის ასულ **მირველაშვილს** — საგარეჯოს ყველ-კარაქის ქარხნის წარმოების უფროსს.

ნაზო აბრამის ასულ **პეტრიაშვილს** — ახმეტის რაიონის ზემო ალვანის სანაშენო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ბრიგადირს.

ლუბა ვლადიმერის ასულ **ფუტკარაძეს** — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსს.

ბარბარე სიმონის ასულ **ფარსადანოვა-ალხანიშვილს** — წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსს.

ბარბარე კალისტრატეს ასულ **ყვავაძეს** — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსს.

თინა გერასიმეს ასულ **ცომაიას** — თბილისის ზოოპარკის განყოფილების გამგეს.

როზა დიმიტრის ასულ **ცომაიას** — სოხუმის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორს.

ნაზი გრიგოლის ასულ **ცუცქირიძეს** — ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ იოსების ასულ **წიკლაურს** — პენსიონერს.

ლოლა გრიგოლის ასულ **ჯიშიაშვილს** — ადიგენის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის:**

ნელი გარეგინის ასულ **ანდრიასოვას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს ექსპედიციის ვეტექიმს.

ლარისა ალექსანდრეს ასულ **არასხანოვას** — გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმს.

ეთერ ალექსანდრეს ასულ **ბენდუქიძეს** — ონის რაიონის ხორცის, რძის და კვების სხვა პროდუქტების საკონტროლო სადგურის ვეტექიმს.

მარიამ ბესარიონის ასულ **გოგიაშვილს** — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარ ვეტექიმს.

სირანა ეფრემის ასულ **გრიგალაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების უფროს ვეტექიმს.

დარია გალაქტიონის ასულ **გელაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების გამგეს.

მარიამ იასონის ასულ **გელენიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების ვეტექიმ-ტოქსიკოლოგს.

ბარბარე თომას ასულ **გახარიას** — ჩხოროწყუს რაიონის მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ვეტექიმს.

მარიამ იოსების ასულ **გონიტაშვილს** — საგარეჯოს რაიონის ხაშმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმს.

ქსენია გრიგოლის ასულ **გუდიევას** — ცხინვალის ქალაქის ვეტსადგურის უფროსს.

ზინა პროკოფის ასულ **თოფურიას** — გალის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის უფროს ვეტექიმს.

ნათელა მაკარის ასულ **იაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების გამგეს.

მარიამ იასონის ასულ **კობიაშვილს** — ლაგოდეხის რაიონის ხორცის, რძისა და კვების სხვა პროდუქტების საკონტროლო სადგურის გამგე-ვეტექიმს.

მარიამ ილიას ასულ **ლეჟავას** — თელავის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის სადეზინფექციო რაზმის უფროს ვეტექიმს.

ზინა თევდორეს ასულ **მილორავას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების გამგეს.

თინა გიორგის ასულ **მუმლაძეს** — საჩხერის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის გამგეს.

ელისაბედ ალექსანდრეს ასულ **ნანობაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების უფროს ვეტექიმს.

ამალია მიხეილის ასულ **ოსიპოვას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო სამმართველოს უფროს ვეტექიმს.

თინა კონსტანტინეს ასულ **პაპინაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების ვეტექიმს.

გოგუცა იასონის ასულ **სოხაძეს** — მარნეულის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის უფროს ვეტექიმ-სეროლოგს.

ლილი მიხეილის ასულ **სოსელიას** — მახარაძის რაიონის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის საბჭოს თავმჯდომარეს.

ნინო აკოფის ასულ **სიმონიანს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების უფროსს.

თამარ ზურაბის ასულ **სუთიძეს** — ბორჯომის რაიონის ხორცის, რძისა და კვების სხვა პროდუქტების საკონტროლო სადგურის გამგეს.

მერი დავითის ასულ **სტურუას** — მარნეულის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის გამგეს.

ზინაიდა სამსონის ასულ **ქარსელაძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის განყოფილების ვეტექიმს.

ცაცა ნოეს ასულ **ქიშმარიას** — სამტრედიის სარაიონთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული რაზმის უფროსს.

ვერა ვასილის ასულ **ცაციაშვილს** — ლენინგორის ვეტლაბორატორიის განყოფილების გამგეს.

ლილი იონას ასულ **ცხადაძეს** — ლაგოდეხის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ვეტექიმს.

თინათინ იასონის ასულ **ცომაიას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ვეტლაბორატორიის ვეტექიმ-იხტიოპათოლოგს.

მედეა იულონის ასულ **წილოსანს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ ვეტექიმს.

ლენა ზაქარიას ასულ **ჭანკოტაძეს** — თბილისის ზოოპარკის ლაბორატორიის გამგეს.

რუსუდან ილიას ასულ **ჭელიძეს** — წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის ვეტექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ გრიგოლის ასულ **ჯიხვაძე-ნებიერიძეს** — ზესტაფონის საერთაშორისო ვეტლაბორატორიის ვეტექიმ-ტოქსიკოლოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 20 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

თამარ ალექსანდრეს ასულ **ბელინსკაიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

ეთერ გიორგის ასულ **გიორგიძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს.

თამარ ივანეს ასულ **დეკანოსიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ქეთევან ისაკის ასულ **კანდელაკს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.

მარიამ დავითის ასულ **ლორთქიფანიძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ვენერა გიორგის ასულ **ურუშაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მეცნიერ მუშაკს.

სარა კირილეს ასულ **ღამბაშიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.

თინათინ სიმონის ასულ **ყაუხჩიშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

ტატიანა ალექსანდრეს ასულ **შატილოვას** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ლუბა თეოფილეს ასულ **შეწირულს** — კანისა და ვენერიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს.

ქეთევან ვასილის ასულ **ცომაიას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონსულტანტს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 26 თებერვალი.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 37 ამხ. ს. ს. ბეთეევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განყოფილების უფროსი — ამხ. სერგო სიმონის ძე **ბეთეევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 38 ამხ. ა. ი. ბოჟაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. არჩილ იასონის ძე **ბოჟაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 39 ამხ. თ. ა. ბოქსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კპ წითელწყაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიკომის პირველი მდივანი (ჟურნალ „კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორი) ამხ. თენგიზ არჩილის ძე **გოქსაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 კომპოზიტორ ვ. ი. ვულფმანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი ვლადიმერ იაკობის ძე **ვულფმანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 ამხ. ვ. გ. თავზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალენტინ გრიგოლის ძე **თავზარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 ამხ. დ. გ. ხმიადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის საპატიო რადისტი ამხ. დიმიტრი გიორგის ძე **ხმიადაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 ამხ. ფ. შ. გაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების გამგის მოადგილე ამხ. ფრიდონ შალვას ძე **გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 44 ამხ. ვ. ი. ფირცხალავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს პრეზიდიუმის ჯგუფის გამგე ამხ. ვარლამ იულონის ძე ფირცხალავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 45 ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ამხ. ლევან გრიგოლის ძე **ვარდოსანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 23 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 46 პროფესორ მ. ე. შიშნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ესტატეს ძე **შიშნიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 23 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**47** **ამხ. ნ. ზ. კასრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ნატალია ზაქარიას ასული კასრაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 26 თებერვალი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1976 წლის 10 თებერვლის სხდომაზე განიხილა საკითხი სანოტარო ფუნქციების განხორციელების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში და აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის სანოტარო მომსახურების გასაუმჯობესებლად, რასაც დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონის მიღებამ.

ამასთან ერთად რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობის სანოტარო მომსახურება ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით.

ზოგიერთ სასოფლო და სადაბო საბჭოს არ გააჩნია კანონი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სათანადო ინსტრუქციები, სანოტარო რეესტრები, საჭირო ბლანკები და შტამპები.

თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ (ძირითადად აღმასკომის მდივნები), ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ მოქმედ კანონმდებლობას ნოტარიატის შესახებ. ზოგიერთი მათგანი საერთოდ თავს არიდებს სანოტარო მოქმედების შესრულებას, რის გამოც მოქალაქენი იძულებული არიან წავიდნენ რაიონის ნოტარიუსთან, ხოლო სადაც ასეთი არ არის — მეზობელ რაიონში.

ხშირად რაიონის ნოტარიუსები ასრულებენ ისეთ სანოტარო მოქმედებებს, რომლებიც სასოფლო და სადაბო საბჭოების კომპეტენციაში შედის.

ზემოაღნიშნული იმის შედეგიცაა, რომ მოსახლეობაში არ ტარდება სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნოტარიატის შესახებ მოქმედი კანონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებლობის გასაცნობად, მოქალაქეებმა არ იციან რა სანოტარო მოქმედების შესრულება შეუძლიათ სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომში შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის სახელმწიფო ბაჟი გაცილებით ნაკლებია ვიდრე სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის.

ხშირია ქვემდებარეობის დარღვევისა და სანოტარო მოქმედებათა არასწორი გაფორმების შემთხვევები. არცთუ იშვიათად აღმასკომები ასრულებენ ისეთ სანოტარო მოქმედებებს, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში არ შედის.

ირღვევა მოქმედი კანონმდებლობა ანდერძის დადასტურების წესის თაობაზე. კერძოდ არ მოწმდება მოანდერძის ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა. ასევე ირღვევა კანონის მოთხოვნა ანდერძის საიდუმლოების დაცვის შესახებ.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოს აღმასკომში წესრიგში არ არის სანოტარო დოკუმენტაცია. საქმეს ართულებს ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში საბჭოს აღმასკომის მიმდინარე საქმიანობა და ჩანაწერები სანოტარო მოქმედებათა შესახებ ერთ ჟურნალშია აღრიცხული.

სერიოზული დარღვევებია სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საქმეშიც. ადგილზე არ იცავენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის მოთხოვნებს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების წესის თაობაზე. ბაჟის გადახდის შესახებ ყოველთვის არ იწერება ქვეთარი. არის შემთხვევები, როდესაც ბაჟს არასწორად ახდევინებენ, ან კიდევ ახდევინებენ ისეთ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, რისთვისაც ბაჟის გადახდა კანონით არ არის გათვალისწინებული.

ირღვევა სახელმწიფო ბანკში ბაჟის შეტანის ვადებიც.

შემოწმებული რაიონების თითქმის არც ერთ სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომს, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, არა აქვს მიღებული გადაწყვეტილება სანოტარო მოქმედებათა შესრულების მოვალეობის აღმასკომის თანამდებობის პირისათვის დაკისრების შესახებ.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მოქალაქენი იძულებული არიან სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის მიმართონ მეზობელი რაიონების სანოტარო კანტორებს, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები, მათი ადგილობრივი ორგანოები სანოტარო საქმისწარმოების საკითხში ქმედით დახმარებას და კონტროლს არ უწევენ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მოსახლეობის სანოტარო მომსახურების გასაუმჯობესებლად. საქართველოს სსრ იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების მუშაკებთან ერთად, ადგილებზე, სისტემატურად შეამოწმონ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სისწორე. დროულად მიიღონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონისა და შესაბამისი ინსტრუქციების უკეთ შესწავლის მიზნით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის მოაწყონ თათბირ-სემინარები რაიონის სასამართლოს, პროკურატურისა და საფინანსო დარგის მუშაკების მონაწილეობით.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალოს:

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად უახლოეს დროში მიიღონ გადაწყვეტილება აღმასკომის ერთ-ერთი თანამდებობის პირისათვის სანოტარო მოქმედებათა შესრულების დაკისრების შესახებ;

ფართოდ გააცნონ მოსახლეობას ადგილობრივი საბჭოებისათვის კანონით მინიჭებული უფლებები სანოტარო მოქმედების დარგში და ის შეღავათები, რომლებიც დაწესებულია სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შემთხვევაში;

პერიოდულად შეისწავლონ სანოტარო მოქმედებათა შესრულების მდგომარეობა და მიიღონ ზომები ამ საქმის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა:

უზრუნველყოს რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები ინსტრუქციებით, მეთოდური წერილებით და სხვა საჭირო წერილობითი განმარტებებით, რომლებიც ნოტარიატის შესახებ კანონიდან გამომდინარეობენ;

სანოტარო კანტორების, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის სისტემატურად ჩაატაროს საინსტრუქტაჟო თათბირები, მოხსენებები და კონსულტაციები მოსახლეობის სანოტარო მომსახურების საკითხებზე, ამასთან განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება საქმისწარმოების კულტურის შემდგომ ამაღლებაზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაევალოს:

უახლოეს დროში უზრუნველყოს ყველა სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომი ინსტრუქციით სახელმწიფო ბაჟის შესახებ;

დაავალდებულოს თავისი ადგილობრივი ორგანოები პერიოდულად შეამოწმონ სანოტარო მოქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სისწორე და პრაქტიკულად დაეხმარონ საბჭოებს გამოვლენილ დარღვევათა აღკვეთაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/წლის მარტის ბოლომდე უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნო-ტარიატის შესახებ კანონის გამოცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად დაამტკიცოს ინსტრუქცია სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

**საკანონმდებლო განზრახულებათა** მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის, დეპუტატ ნ. ლანდიას მოხსენება რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ თუ 1970 წლამდე იურიდიული მომსახურება ეწეოდა მხოლოდ 80 მეურნეობას, ამჟამად ამ სამსახურით უზრუნველყოფილია მეურნეობათა საერთო რაოდენობის 99,4 პროცენტი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში 1975 წლის თებერვლიდან შეიქმნა იურიდიული სამმართველო.

იუსტიციის სამინისტრომ გააუმჯობესა მეთოდური ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობაში სამართლებრივ მუშაობაზე. პერიოდულად წარმოებს იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლება იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლების ორთვიან კურსებზე.

მიუხედავად ამისა, იურიდიული მომსახურების დონე საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს.

ახალქალაქის, ლაგოდეხის, საჩხერის, ცხაკაიას, დუშეთის და რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებში ხშირად ირღვევა კოლმეურნეობის წესდების მოთხოვნა მოქალაქეთა კოლმეურნეობის წევრად მიღებისა და კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის, საკოლმეურნეო თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვისა და სხვა საკითხებზე.

იურიდიული დარგის მუშაკები ყოველთვის სათანადოდ არ მონაწილეობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფლანგვა-დატაცების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დებიტორული დავალიანების დაფარვის საქმეში.

ხშირია შემთხვევები, როდესაც რეაგირების გარეშე რჩება შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების ფაქტები (ცხაკაიას რაიონის გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ზნაურის რაიონის ბაქმარის საბჭოთა მეურნეობა, ველების საბჭოთა მეურნეობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ შეუფასებლობას იჩენენ იურიდიული სამსახურისადმი, იურისტებს არ უქმნიან მუშაობის ნორმალურ პირობებს, მათ ხშირად აძლევენ ისეთ დავალებებს, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს იურიდიულ სამსახურთან (ზესტაფონის, სოხუმის, მცხეთის რაიონები).

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს დებულების იმ მოთხოვნის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული სამსახურის მეთოდურ ხელმძღვანელობას.

რესპუბლიკის პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები არ უწევენ საჭირო საპროკურორო ზედამხედველობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კანონიერების დაცვას, ხოლო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ ახორციელებენ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოებისადმი.

რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა, რადიო და ტელევიზია იშვიათად აშუქებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. ამ ხაზით არასაკმარისია საზოგადოება „ცოდნის" მუშაობაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების კრებულის გამოცემა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს იურიდიული მომსახურების დონეზეც.

მუდმივი კომისიის მუშაობა აღნიშნულ საკითხზე შეაჯამა ამავე კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჯ. პატიაშვილმა.

■

• •

**ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების** მუდმივი კომისიის სხდომამ განიხილა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის საკითხი.

მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა დეპუტატმა ლ. თოფურიამ. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრი დეპუტატი ე. კურტანიძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. ქობლიანიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. კობახიძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ჭანტურია, გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ო. სადაღაშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები პერიოდულად სწავლობენ და განიხილავენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობას, ეხმარებიან მათ საქონელბრუნვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგმების შესრულებაში, მომსახურების კულტურის ამაღლებაში, კადრებთან მუშაობაში.

ამასთან მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭო სრულად არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას კონტროლი გაუწიოს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობას. მთელი რიგი რაიონული საბჭოები არ იცავენ კანონის მოთხოვნას მათი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საქონელბრუნვის გეგმების დამტკიცების შესახებ.

21 შემოწმებული რაიონიდან საქონელბრუნვის გეგმები ვერ შეასრულა 8 რაიონმა (ხაშურის, ცაგერის, საჩხერის, ამბროლაურის, ქარელისა და სხვ.).

მარნეულის, გარდაბნის, თიანეთის, დუშეთისა და სხვა რაიკოოპკავშირებისა და სასოფლო კოოპერატივების გამგეობები ურიგდებიან სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოების წესდების დარღვევებს, ხოლო შესაბამის რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებს ჯეროვანი კონტროლი არ დაუწესებიათ მისი ზუსტი დაცვისადმი.

ბევრ სავაჭრო ორგანიზაციაში დაბალია მომსახურების კულტურა, არის ფაქტები, როცა არღვევენ პრეისკურანტით გათვალისწინებულ ფასებს, უხეშად ექცევიან მომხმარებლებს.

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქარელის, ხაშურის, გორის, საგარეჯოს, საჩხერის, ბორჯომის, წყალტუბოს, ცაგერის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებში ხშირად ფერხდება პირველი საჭიროების საქონლის მიწოდება.

სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლებისა და სასწავლებლების სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაში.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ვაჭრობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. ცეკავშირის სისტემაში თვითმომსახურებაზე გადასულია სავაჭრო ობიექტების მხოლოდ 43 პროცენტი, მაშინ როდესაც კავშირში ეს მაჩვენებელი 48 პროცენტს შეადგენს.

სავაჭრო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ დაბალია ქალის შრომის გამოყენების პროცენტი.

რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაფართოებას, საჭირო მოწყობილობით მათ აღჭურვას. ჯეროვნად არ სრულდება საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაუქმებას სამაგიერო ახალი ობიექტების გაუხსნელად (აბაშის, ბორჯომის, ხაშურის, ცხაკაიას, მაიაკოვსკის, ახალქალაქის, წითელწყაროს რაიონები).

დასასრულ სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი გ. გაბუნია.

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

**მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების** მუდმივი კომისიის სხდომამ, მოისმინა ამ კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ა. აზიროვის მოხსენება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ვ. ქემაშვილი, ა. ზარქუა, გ. კურტანიძე; რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. სობოლევი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. დუდჩენკო.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად ამაღლდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში არის სპეციალური საგარდეორობოები, საშხაპეები, ქალთა ჰიგიენის ოთახები, სასმელი წყლის შადრევნები და სხვ.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგიერთ საწარმოში მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. დამაკმაყოფილებელი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურება სამტრედიის აბრეშუმსართავი ფაბრიკის, გორის ბამბეულის კომბინატის, ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანების, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის „ისანის" საერთო საცხოვრებლებში. მათ სჭირდებათ შეკეთება.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სუსტადაა განვითარებული მიმღები პუნქტებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სხვა ობიექტების ქსელი.

არის აგრეთვე ნაკლოვანებანი მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში თბილისის პირველი მაისის სახელობის და სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკებში, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში", გორის ბამბეულის კომბინატში, ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანებაში.

*

* *

**ბუნების დაცვის მუდმივი** კომისიის სხდომამ, განიხილა მისი თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. გელაშვილის მოხსენება რესპუბლიკაში ტყის გაშენების გეგმა-ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა აღნიშ-

ნეს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყის გაშენებისა და მოვლა-პატრონობის საქმე. უკეთ მოეწყო ტყის ექსპლუატაცია, მეურნეობის წარმოების კულტურა, ამაღლდა ტექნიკისა და მექანიზმების გამოყენების დონე, რამაც ხელი შეუწყო ტყის გაშენების სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

გადაჭარბებით შესრულდა ტყის გაშენების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა.

ამასთან ტყის გაშენების და მოვლა-დაცვის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. დაბალია ტყის გაშენებისა და ხელოვნური აღდგენის საქმეში მექანიზაციის გამოყენების დონე. ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში ხშირია ტყის კულტურების დაღუპვის შემთხვევები. მაგალითად, წინა წლებში გაშენებული ტყის კულტურებიდან 1974 წელს ვანის სატყეო მეურნეობაში დაიღუპა 49,2 პროცენტი, გურჯაანში — 18,8 პროცენტი, სიღნაღში — 18,3 პროცენტი, დმანისში — 16,5 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობაა ასპინძის, ყვარლის, ახალციხის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სატყეო მეურნეობებში.

მთელ რიგ რაიონებში არ სრულდება ეროზიულ ფართობებზე ტყის გაშენების სახელმწიფო გეგმები და კოლმეურნეობების ფართობებზე მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმები.

იმის გამო, რომ სათანადო დაცვით ღონისძიებებს არ ახორციელებდნენ და რიგიანად არ უვლიდნენ ეროზირებულ ფართობებზე გაშენებული ბევრი ნარგავი და მინდორსაცავი ტყის ზოლი დაიღუპა (წალკა, ბოგდანოვკა, ახალქალაქი, ადიგენი, ბოლნისი).

ზოგიერთ საკოლმეურნეო ტყეში არ ხორციელდება სათანადო სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, მოვლითი ჭრა ტარდება უსისტემოდ, ტყიდან მიღებული შემოსავალი არ ხმარდება აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას და სხვ. არის ტყის თვითნებური გაკაფვის შემთხვევები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ მიმართავენ გადამწყვეტ ღონისძიებებს ტყეების გაშენების, მინდორსაცავი ტყის ზოლების მოწყობისა და მათი მოვლა-პატრონობისათვის.

*

* *

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილებები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორ-

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

დენებითა და „დედობის მედლით" დააჯილდოვა 103 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 7 |
| ქ. რუსთავიდან | | 5 |
| ახალციხის | რაიონიდან | 4 |
| ახმეტის | „ | 5 |
| ბოგდანოვკის | „ | 4 |
| გორის | „ | 17 |
| ზუგდიდის | „ | 8 |
| თელავის | „ | 2 |
| კასპის | „ | 10 |
| ონის | „ | 2 |
| ორჯონიკიძის | „ | 2 |
| საგარეჯოს | „ | 27 |
| სამტრედიის | „ | 5 |
| ცაგერის | „ | 4 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 1 |

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით დააჯილდოვა 344 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის 1-ლი მაისის | რაიონიდან | 26 |
| ქ. ქუთაისიდან | | 22 |
| ქ. ჭიათურიდან | | 101 |
| ასპინძის | რაიონიდან | 43 |
| ახალქალაქის | „ | 18 |
| ბოგდანოვკის | „ | 7 |
| დმანისის | „ | 16 |
| თელავის | „ | 4 |
| თიანეთის | „ | 16 |
| მაიაკოვსკის | „ | 27 |
| ქარელის | „ | 11 |
| წალენჯიხის | „ | 31 |
| ხაშურის | „ | 22 |

## ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აბაშის რაიონში** — გაუქმდა აბაშის საქალაქო საბჭოს სოფლები დიდი კვათანა და პატარა კვათანა ქ. აბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

**ახალქალაქის რაიონში** — გაუქმდა ოკამის სასოფლო საბჭოს სოფელი დამკალი, მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

**ახმეტის რაიონში** — მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა: ომალოს სასოფლო საბჭოს სოფლები: ჯვარბოსელი, ვაკისძირი, ვესტმო, ილურთა, ვესტომთა, გოგლურთა, ბოჭორმა, ჟველურთა, ჩიგლაურთა, ყვავლო, ჭეშო, ნაციხარი; ქისტაურის სასოფლო საბჭოს სოფელი ქორუბანი; ახმეტის საქალაქო საბჭოს სოფლები: ჩოფჩაური, ჯაბური, ხოლო სოფელი საბერო ქ. ახმეტასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

**გარდაბნის რაიონში** — გაუქმდა: გარდაბნის საქალაქო საბჭოს სოფელი ზემო კაპანახჩი სოფელ ჯანდართან ტერიტორიულად შეზრდის გამო. ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები ნასომხარი და კალინოვკა მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

**საჩხერის რაიონში** — გაუქმდა კორბოულის სასოფლო საბჭოს სოფლები: ურუნა, ჩონთო და ჯვარი მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

**წალენჯიხის რაიონში** —გაუქმდა ფახულანის სასოფლო საბჭოს სოფელი უბადოღალი მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.

**ცაგერის რაიონში** — ლასურიაშის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ლასხანა და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ცაგერის საქალაქო საბჭოს.

**მახარაძის რაიონში** — მელექედურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ახლად შექმნილ დასახლებას ეწოდა ქვედა ნასაკირალი და მიეკუთვნა დაბების ჯგუფს; ამასთან დაკავშირებით დაბა ქვედა ნასაკირალში გათვალისწინებულია შეიქმნას სადაბო საბჭო.

ქვედა ნასაკირალის დასახლებიდან მელექედურის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი ქვედა ნასაკირალის სადაბო საბჭოში.